

## **საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი - 2022**

**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

თბილისი, 2022 წელი

**საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის**

**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

## ფესტივალის მიზანი

საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის მიზანია ქართული, ასევე საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნოსის, ფოლკლორის დარგებისა და ქანრების ნიმუშთა მოძიება-გამომზეურება და დღეს ქვეყანაში არსებული ცოცხალი ფოლკლორული ყოფის რეალური სურათის წარმოჩენა; ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისის სრულიად საქართველოს ფოლკლორული სურათის დაფიქსირება, სისტემატიზაცია, კალევა; ფოლკლორის სიცოცხლისუნარიანობაზე ზრუნვა – შესაბამისი პირობებისა და გარემოს შექმნა; საქართველოს თითოეულ კუთხესა და სოფელში ხალხური შემოქმედების დარგების აღორძინება.

### 1. ფესტივალის გადები, მომზადება და მიმდინარეობა

ფესტივალი იწყება 2022 წლის მარტში და მთავრდება 2022 წლის ოქტომბერში. ფესტივალის მზადებისა და მიმდინარეობისათვის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურები უზრუნველყოფენ მონაწილეობა წინასწარ რეგისტრაციას, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ შედგენილი და მიწოდებული სპეციალური ანკეტების შევსებას, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საკოორდინაციო ჯგუფი კი – ფესტივალის საინფორმაციო ბაზის შექმნასა და ინფორმაციის გაცემას.

ფესტივალი ჩატარდება სამ ტურად: ადგილობრივი, რეგიონული და დასკვნითი.

1. **ადგილობრივი ტური** გაიმართება 2022 წლის მარტსა და აპრილში და მოიცავს ყველა მუნიციპალიტეტს (შენიშვნა: ადგილობრივ ტურში შეიძლება გაერთიანდეს ორი ან რამდენიმე მიმდებარე მუნიციპალიტეტი). ადგილობრივ ტურში არ მონაწილეობენ ზეპირსიტყვიერების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები.
2. **რეგიონული ტური** გაიმართება 2022 წლის მაისსა და ივნისში, რეგიონების ადმინისტრაციულ ცენტრებში:

- გურია – ოზურგეთი
- იმერეთი – ქუთაისი
- რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი – ცაგერი
- სამეგრელო – ზუგდიდი
- ხემო სვანეთი – მესტია
- სამცხე-ჯავახეთი – ახალციხე
- შიდა ქართლი – გორი
- ქვემო ქართლი – რუსთავი
- მცხეთა-მთიანეთი – დუშეთი
- კახეთი – თელავი

- თბილისი

რეგიონულ ტურში გათვალისწინებულია ზეპირსიტყვიერებისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგების მონაწილეობაც.

ადგილობრივი და რეგიონული ტურების ჩატარების ადგილისა და დროის შესახებ მუნიციპალიტეტებსა და მონაწილეებს ეცნობებათ წინასწარ.

**3. დასკვნითი ტური და ლაურეატთა დაჯილდოება გაიმართება თბილისში, ოქტომბრის თვეში.**

## **2. ფესტივალის მონაწილენი**

ეროვნულ ფესტივალში მონაწილეობენ:

- ავთენტიკური ჯგუფები // სასოფლო ანსამბლები
- ხალხური სიმღერის მუნიციპალური და თვითმოქმედი ანსამბლები
- ტრადიციულ ხალხურ საკრავთა ანსამბლები
- საოჯახო ანსამბლები (მუსიკასა და ქორეოგრაფიაში)
- ქორეოგრაფიული ანსამბლები
- სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები
- ქართული ტრადიციული გალობის გუნდები
- ინდივიდუალური შემსრულებლები (სიმღერა, ცეკვა, საკრავი)
- მოქმედები, ავტორ-მთქმელები და შემკრებნი
- ხალხური რეწვის და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატები
- სახვითი ხელოვნების ოსტატები

ფესტივალში მონაწილის მინიმალური ასაკია 16 წელი. მცირეწლოვანი ბავშვების მონაწილეობა დასაშვებია სიმღერისა და ცეკვის საოჯახო ანსამბლებში, ასევე – ხალხური რეწვის სახეობებში.

## **3. ეროვნული ფესტივალის კრიტერიუმები**

საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის მონაწილე პირებსა და შემოქმედებით კოლექტივებს მოეთხოვებათ იმ კრიტერიუმებისა და მოთხოვნების ზედმიწევნით დაცვა, რომლებიც ცენტრის მიერ შემუშავებულ **სარეკომენდაციო წერილშია** ჩამოყალიბებული. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ისეთ კრიტერიუმებს, როგორიცაა: ფოლკლორის სიწმინდის დაცვა; თავისი კუთხის

ტრადიციების მოძიება და გაცოცხლება; ხალხური საშემსრულებლო მანერის შენარჩუნება; ცეკვის მუსიკალური გაფორმებისას პანგის სწორად შერჩევა და ტრადიციული საკრავების ან სიმღერის გამოყენება; სინკრეტულობის დაცვა – სიმღერის, ლექსის, ცეკვის, საკრავის მხატვრულ-შინაარსობრივი ერთობლიობის წარმოჩენა-შენარჩუნება; ქალთა და მამაკაცთა საშემსრულებლო რეპერტუარისა და თავისებურებების გათვალისწინება.

ეროვნულ ფესტივალზე, ავტორ-მთქმელთა ლექსების გარდა, სასურველია, წარმოჩინდეს ზეპირსიტყვიერების ყველა დარგი: პოეზია, ზღაპარი, მითი, თქმულება, ლეგენდა, ანდრეზი; თამაშობანი, შელოცვები; წევლის, დალოცვის, დატირების ნიმუშები, საკულტო ტექსტები; სახალხო ისტორიები, ანდაზები, გამოცანები, ყბისსაქცევები....

ფესტივალზე უნდა წარმოჩინდეს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ყველა დარგი: ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა, მეთუნეობა, ლითონის მხატვრული დამუშავება (საიუველირო ნაწარმი, ჭედურობა, იარაღი, ქამარ-ხანჯალი, ცხენის აღკაზმულობა), ხის, ქვის, ძვლის, ტყავის (ავეჯი, საოჯახო და დეკორატიული ნივთები) მხატვრული დამუშავება; წნული, ქსოვა-ქარგულობა და ლურჯი სუფრები, ნაქარგობანი, საგებელ-საფარებლები, ჯეჯიმი, ჭილოფი, თექა, ნაბადი, ეროვნული ტანსაცმელი, თავსაბურავი, წინდები, ჩითები, ქალამნები, თოჯინები; ორიგინალური ქანრი (თანამედროვე გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები არაორდინარული მასალით: ნიჟარები, ბუმბული, აბლაბუდა, მცენარის თესლები, ხის ქერქი, თევზის ფხა და სხვა).

რეგიონულ ტურზე გამოიფინება ფესტივალის ჟიურის მიერ წინასწარ შერჩეული ექსპონატები.

#### 4. ფესტივალის ჟიური

1. ფესტივალის ჟიურის წევრს ნიშნავს ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი.
2. ფესტივალის ჟიურის წევრი შეიძლება იყოს როგორც ცენტრის თანამშრომელი, ასევე მოწვეული მაღალკვალიფიციური სპეციალისტი.
3. ფესტივალის ჟიური განიხილავს მხოლოდ ადგილობრივ და რეგიონულ ტურებს, აცხადებს შედეგებს, ამზადებს წერილობით რეკომენდაციებს და წინადადებებს ფესტივალის მონაწილეთვის.
4. ფესტივალის ჟიური შედგება არანაკლებ 5 და არაუმეტეს 12 წევრისგან.
5. ფესტივალის ჟიურის თავჯდომარეა ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი.
6. ფესტივალის ჟიური უფლებამოსილია არანაკლებ 3 წევრის შეკრების შემთხვევაში.
7. ჟიური სხვადასხვა საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავჯდომარის ხმა.

## **5. ფესტივალის ხელმძღვანელობა**

1. ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის მიმდინარეობას ხელმძღვანელობს ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფი.
2. ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფის შემადგენლობას და საქმიანობის წესს განსაზღვრავს ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი.
3. ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელს ნიშნავს და ათავისუფლებს ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი.
4. ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფის და ხელმძღვანელის უფლებამოსილებები განისაზღვრება ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით.

## **6. ფესტივალის სიმბოლიკა**

1. საქართველოს ფოლკლორის ეროვნულ ფესტივალს გააჩნია თავისი ლოგო და მუსიკალური სიმბოლო.

## **7. ფესტივალის მონაწილეთა დაჯილდოება**

1. ფესტივალის დასკვნით ტურში მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივ და რეგიონულ ტურებში, ჟიურის მიერ შერჩეული საუკეთესო მონაწილეები, რომელთაც მიენიჭებათ ფესტივალის ლაურეატის წოდება და გადაეცემათ დიპლომები, ფულადი და სხვადასხვა სახის ჯილდოები, ასევე ფესტივალის სპონსორთა მიერ დაწესებული სპეციალური პრიზები.

## **8. ფესტივალის მოსალოდნელი შედეგები და მნიშვნელობა**

ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის შედეგად:

1. გამომზეურდება ქართული, ასევე საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნოსის, ფოლკლორის დარგისა და ჟანრის ნიმუშები;

2. წარმოჩინდება დღეს არსებული ცოცხალი ფოლკლორული ყოფის რეალური სურათი;
3. დაფიქსირდება ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისის სრულიად საქართველოს ფოლკლორული ყოფა;
4. სისტემატიზდება მოპოვებული მასალა, შეისწავლება ფოლკლორისა და თანამედროვეობის პრობლემები;
5. ფესტივალის შედეგების გათვალისწინებით, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი შეიმუშავებს მოქლევადიან და გრძელვადიან ეფექტებზე გათვლილ სტრატეგიას, რაც უზრუნველყოფს რეგიონებში ფოლკლორის დარგების სიცოცხლისუნარიანობის ამაღლებას.